

სს ლელო

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სს ლელო

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6
1. ზოგადი ნაწილი	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა	7
4. ფულადი სახსრები.	12
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.	13
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.	13
7. ძირითადი საშუალებები.	14
8. მოკლევადიანი სესხები	14
9. სავაჭრო ვალდებულებები.	14
10. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები:	15
11. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	15
12. . რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16
13. . კომერციული დანახარჯები	16
14. ადმინისტრაციული ხარჯები.	17
15. ფინანსური შემოსავალი.	17
16. ფინანსური დანახარჯები.	17
17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	18
18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	18

სს ლელო

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით

(1 ლარი)

	შენიშვნა	31.12.2019	01.01.2019
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	4	167,574	12,625
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,372,985	1,162,168
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	25,395	21,611
სულ მიმდინარე აქტივები		1,565,954	1,196,404
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	6,816,233	7,249,939
არამატერიალური აქტივები		27,993	35,722
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,844,227	7,285,661
სულ აქტივები		8,410,181	8,482,065
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხი	8	285,211	305,194
სავაჭრო ვალდებულებები	9	79,360	130,284
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		81,237	63,737
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	423,510	227,835
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		869,318	729,389
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის სესხი	8	1,069,775	1,135,352
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,069,775	1,135,352
სულ ვალდებულებები		1,939,093	1,864,741
საკუთარი კაპიტალი			
რეზერვი			
სააქციო კაპიტალი		3,158,797	3,418,000
სააქციო კაპიტალი		405,840	405,840
გაუნაწილებელი მოგება/ზრალი		2,906,451	2,793,484
სულ საკუთარი კაპიტალი		6,471,088	6,617,324
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		8,410,181	8,482,065

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 28 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ბესიკ ახალაძე

მთ. ბუღალტერი ----- ნიკოლოზ ედიბერიძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 18-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს ლელო

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	11	2,756,594	2,520,123
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	12	(558,976)	(880,993)
საერთო მოგება		2,197,619	1,639,131
სხვა შემოსავალი		28,434	-
კომერციული დანახარჯები	13	(58,624)	(83,381)
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(788,356)	(845,839)
სხვა ხარჯები		-	-
დადებითი საკუროს სხვაობა		21,220	760
ფინანსური შემოსავალი	15	73,827	43,626
ურყოფითი საკუროს სხვაობა		(69,285)	(21,067)
ფინანსური დანახარჯები	16	(191,868)	(191,918)
მოგება დაბეგვრამდე		1,212,967	541,312
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მიმდინარე წლის მოგება		1,212,967	541,312
გაუწაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		-	-
დივიდენდები		-	-
გაუწაწილებელი მოგება წლის ბოლოს		1,212,967	541,312

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 28 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ბესიკ ახალაძე

მთ. ბუღალტერი ----- ნიკოლოზ ედიბერიძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 18-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს ლელო

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	საწყესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2018	405,840	2,793,484	3,418,000	6,617,324
სხვა ცვლილება	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,212,967	(259,203)	953,764
დივიდენდის განაწილება		(1,100,000)		(1,100,000)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	405,840	2,906,451	3,158,797	6,471,088

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 28 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ბესიკ ახალაძე

მთ. ბუღალტერი ----- ნიკოლოზ ედიბერიძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 18-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს ლელო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

სს „ლელო“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 1996 წლის 02 ოქტომბერს ნაძალადევის რაიონის სასამართლოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 200002745, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ქსნის ქ., №36. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის ძირითადი მეწილეები არიან:

შპს „შარმ ტრეიდიנגი“ (ს/კ 211397004)-49,997%

რომან რურუა (პ.ნ. 01008003371)-30,545%

ოქრო ჯღარკავა (პ.ნ. 29001001194)-13,589%

და სხვა ფიზიკური პირები

კომპანიის დირექტორია ბესიკ ახალაძე (პ.ნ. 560003006496)

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა: საკუთარი არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა. კომპანიას არ აქვს ფილიალები.

კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი საწარმოები, მაგრამ ჰყავს მეკავშირე საწარმოები.

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი

2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

სს ლელო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3.გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

სს ლელო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური

სს ლელო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივებისათვის გარდა შენობების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) შენობები შეფასებულია რეალური ღირებულებით მსს გასს-ზე გადასვლის თარიღისთვის, აფასების სხვაობაზე დარიცხული ცვეთა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაში.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

დ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა ნაგებობები -25 წელი;

მიმოსვლის გზები -25 წელი;

ნაგებობები - 20 წელი;

მანქანა დანადგარები - 5 წელი;

ძალოვანი მოწყობილობები- 10 წელი;

ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-7 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

სს ლელო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით ამორტიზდება 10%-ით;

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2019 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

სს ლელო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

4. ფულადი სახსრები.

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

	2019	2018
ნაღდი ფული ლარებში	5,473	782
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	157,438	10,346
უცხოური ვალუტა ადგილობრივ ბანკებში	4,663	1,497
სულ	167,574	12,625

სს ლელო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები შედგება:

	2019	2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	573,805	538,956
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	27,071	53,795
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	202,901	243,272
წინასწარ გადახდილი გადასახადი	70,492	42,257
მოთხოვნები გაცემული სესხიდან	498,716	283,888
სულ	1,372,985	1,162,168

2019 წლის ბოლოსათვის, კომპანიას სავაჭრო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე რომლის მიღებასაც კომპანიის მოელის წინასწარ განსაზღვრული ვადებში.

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.

მარაგები წარმოდგენილია:

	2019	2018
ნედლეული	2,826	3,207
საწვავ-საცხები მასალები	22,569	18,404
სულ	25,395	21,611

სს ლელო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

7. ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები შედგება:

დაუმთავრებელი შენიშვნა	მიწის ნაკვეთები	მიმოსვლის გზები	შენობები	ნაგებობები, მილსადენები, გაყვანილობის სისტემები	მანქანა- დანადგარები	ბაღი, მანქანა, ტექნიკური და ტურბინული მოწყობილობები	აგეჯი, სპეციალური ინსტრუმენტები და ინვენტარი	სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
72,689	37,919	266,778	9,644,370	55,467	141,451	125,839	149,905	117,448	57,594	10,669,458
22,029		18,538	14,747		44,926		40,481	3,650	32,275	176,647
(61,730)			(14,747)		(13,343)				(41,566)	(131,386)
32,988	37,919	285,316	9,644,370	55,467	173,034	125,839	190,387	121,098	48,304	10,714,720
-	-	(33,925)	(2,913,920)	(32,537)	(74,011)	(118,899)	(108,454)	(88,588)	(49,186)	(3,419,520)
-	-	(11,046)	(416,490)	(1,217)	(26,699)	(3,974)	(17,589)	(6,202)	(7,766)	(490,981)
			141		3,225				8,648	12,014
-	-	(44,971)	(3,330,269)	(33,753)	(97,485)	(122,872)	(126,043)	(94,790)	(48,304)	(3,898,487)
72,689	37,919	232,852	6,730,449	22,930	67,440	6,940	41,452	28,860	8,408	7,249,939
32,988	37,919	240,344	6,314,101	21,713	75,549	2,967	64,344	26,308	(0)	6,816,233

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი გარდა შენობებისა რომელიც აღრიცხულია მსს ფასს-ზე გადასვლის მომენტში რეალური ღირებულებით.

8. მოკლევადიანი სესხები

2019 წლის ბოლოს კომპანიის სასესხო ვალდებულებები შედგება:

	2019	2018
მიწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	23,289	85,711
მიღებული ავანსები	56,071	44,573
სულ	79,360	130,284

9. სავაჭრო ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები შედგება:

	2019	2018
მიწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	23,289	85,711
მიღებული ავანსები	56,071	44,573
სულ	79,360	130,284

სს ლელო**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

31.12.2019წ. მდგომარეობით, კომპანიის კრედიტორებს წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტი კომპანიები.

10. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები:

მოკლევადიანი ვალდებულებები შედგება:

	2019	2018
გადასახდელი ხელფასები	37,845	61,608
გასაცემი დივიდენდი	385,665	166,227
სულ	423,510	227,835

11. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2019 წელს, კომპანიის ამონაგები შედგება:

	2019
შემოსავალი საიჯრო მომსახურებიდან	2,444,863
შემოსავალი ლოჯისტიკური მომსახურებიდან	239,652
შემოსავალი ინდივიდუალური ავტოსადგომებიდან	62,532
შემოსავალი ტრაილერების პარკირებიდან	9,547
სულ	2,756,594

სს ლელო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

12. . რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის 2019 წლის რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება შედგება:

	2019
კომუნალური ხარჯი	153,716
პროგრამული მომსახურება	27,459
საწარმოო დანიშნულების ძირ. საშუალებების ცვეთა	222,753
საერთო დანიშნულების არამატ. აქტივების ამორტიზაცია	9,025
დაცვის ხარჯები	61,003
სამეურნეო ხარჯები	52,600
შესანახი პროდუქციის დატვირთვა გადმორთვითვის მომსახურ.	32,420
სულ	558,976

13. . კომერციული დანახარჯები

კომპანიის 2019 წლის კომერციული დანახარჯები შედგება:

	2019
რეკლამის ხარჯები	10,036
მარკეტინგის ხარჯი	368
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	6,370
მიწოდების სხვა ხარჯები	41,850
სულ	58,624

სს ლელო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

14. ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანიის 2019 წლის ადმინისტრაციული დანახარჯი შედგება:

	2019
შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)	518,132
საიჯრო ქირა	20,552
საოფისე ინვენტარის ხარჯები	2,001
კომუნიკაციის/კავშირგაბმულობის ხარჯები	7,771
საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები	5,451
საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	1,679
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	26,192
იურიდიული მომსახურების ხარჯები	28,801
სანოტარო ხარჯები	194
საგადასახადო ხარჯები	100,035
საბანკო ხარჯები	4,488
საერთო დანიშნულების რემონტის ხარჯები	16,464
წარმომადგენლობითი ხარჯები	7,701
ტაქსით მომსახურების ხარჯები	
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები	48,593
საქველმოქმედო ხარჯები	300
სხვა ხარჯები	
სულ	788,356

15. ფინანსური შემოსავალი.

კომპანიის 2019 წლის ფინანსური შემოსავალი შედგება:

	2019
მისაღები პირგასემტებლო	18,989
საპროცენტო შემოსავალი	54,827
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	10
სულ	73,827

16. ფინანსური დანახარჯები.

კომპანიის 2019 წლის ფინანსური დანახარჯები შედგება:

	2019
საპროცენტო ხარჯები	133,735
საგადასახადო საშრავები	1,146
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	56,987
სულ	191,868

სს ლელო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

განხორციელებული ოპერაციები დირექტორთან და პარტნიორებთან:

	ტრანზაქციის ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით	დაუფარავი ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით
ხელფასი და სხვა სარგებელი	(128,986)	(22,574)
გაცემული სესხი	-	565,195
საქონლის ან/და მომსახურების რეალიზაცია	-	616
სულ	(128,986)	543,237

განხორციელებული ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან:

	ტრანზაქციის ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით	დაუფარავი ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით
საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვები	(53,024)	(809)
აღებული სესხი	(89,200)	-
გაცემული სესხი	-	4,014
საქონლის ან/და მომსახურების რეალიზაცია	2,126,327	360,838
სულ	1,984,104	364,044

აღნიშნული ოპერაციები განხორციელებულია იგივე პირობებით, როგორი პირობებითაც სრულდება ანალოგიური ტრანზაქციები არადაკავშირებულ მხარესთან.

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 28 სექტემბერს.